სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080180016100819

№ 4114

11 / ოქტომბერი / 2019 წ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 08 ოქტომბერს (18:30სთ) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის SMP190003933 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტოპარკის მოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (მათ შორის მშენებლობისთვის შერჩეული ფართობის გეოლოგიური დასკვნის და სიტუაციასთან შესაბამისობის (მიბმის) პროექტი) - (CPV - 71300000 - საინჟინრო მომსახურებები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით დაგეგმილია საქართველოში ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც 2020 წლის აპრილის თვეში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს გადმოეცემა 10 (ათი) ერთეული 8 მეტრი სიგრძის საქალაქო ავტობუსი. EBRD-ის მოთხოვნაა გადმოცემის მომენტისათვის ქალაქს გააჩნდეს ავტობუსების მომსახურების და სადგომის გამართული ინფრასტრუქტურა. საგულისხმოა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის 04 ოქტომბრის წერილით ფოთის მუნიციპალიტეტს დაევალა ავტობუსების სრულყოფილი ოპერირებისთვის საჭირო შესაბამისი სადგომების მოწყობა 2020 წლის აპრილის თვემდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადმოსცა ავტოპარკის ტიპიური პროექტი, რომლის რეალიზაციის მიზნით გამოიყო შესაბამისი ტერიტორია (ქალაქ ფოთი, მშვიდობის ქუჩაზე ყოფილი N 1 ავტოპარკის ტერიტორია), სადაც უნდა მოეწყოს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ავტოპარკი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე საჭიროა აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარდეს არსებული, ძველი შენობა-ნაგებობის და სხვა ინფრასტრუქტურის ობიექტების დემონტაჟი და შემდგომში სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად შერჩეული ფართობის გეოლოგიური გამოკვლევა და გადმოცემული პროექტის სიტუაციასთან შესაბამისობის (მიბმის) პროექტის შედგენა, რისთვისაც საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ მოპოვებული პროექტის მისადაგება ფოთის რეალობასთან და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მომზადება. იმისთვის რომ დროულად მოხდეს ფოთის ავტოპარკის მოწყობა, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტოპარკის მოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (მათ შორის მშენებლობისთვის შერჩეული ფართობის გეოლოგიური დასკვნის და სიტუაციასთან შესაბამისობის (მიბმის) პროექტი) შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით დაგეგმილია საქართველოში ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც 2020 წლის აპრილის თვეში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს გადაეცემა 10 (ათი) ერთეული 8 მეტრი სიგრძის საქალაქო ავტობუსი. EBRD-ის მოთხოვნაა გადაცემის მომენტისათვის ქალაქს გააჩნდეს ავტობუსების მომსახურების და სადგომის გამართული ინფრასტრუქტურა. საგულისხმოა, რომ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2019 წლის 04 ოქტომბრის წერილით ფოთის მუნიციპალიტეტს დაევალა ავტობუსების სრულყოფილი ოპერირებისთვის საჭირო შესაბამისი სადგომების მოწყობა 2020 წლის აპრილის თვემდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნიის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიამ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს საჩუქრად გადასცა ავტოპარკის ტიპიური პროექტი, რომლის რეალიზაციის მიზნით გამოიყო შესაბამისი ტერიტორია (ქალაქ ფოთი, მშვიდობის ქუჩაზე ყოფილი N 1 ავტოპარკის ტერიტორია), სადაც უნდა მოეწყოს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ავტოპარკი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე საჭიროა აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარდეს არსებული, ძველი შენობა-ნაგებობის და სხვა ინფრასტრუქტურის ობიექტების დემონტაჟი და შემდგომში სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად შერჩეული ფართობის გეოლოგიური გამოკვლევა და გადაცემული პროექტის სიტუაციასთან შესაბამისობის (მიბმის) პროექტის შედგენა, რისთვისაც საჭიროა მუნიციპალიტეტის მიერ მოპოვებული პროექტის მისადაგება ფოთის რეალობასთან და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მომზადება. იმისთვის რომ დროულად მოხდეს ფოთის ავტოპარკის მოწყობა, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ავტოპარკის მოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (მათ შორის მშენებლობისთვის შერჩეული ფართობის გეოლოგიური დასკვნის და სიტუაციასთან შესაბამისობის (მიბმის) პროექტი) შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის SMP190003933 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე